საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N ო-209

27/09/2019

209-0-4-201909271811

UNESCO-ს საშემფასებლო მისიის ფარგლებში ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ექსპერტების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს საგდასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2019 წლის 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების UNESCO-ს ბუნებრივი მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად ნომინირების გამო, ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ექსპერტების საშემფასებლო ვიზიტთან დაკავშირებით დაევალოს ეკონომიკურ სამსახურს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული წარმომადგენლობითი ხარჯის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვროს არაუმეტეს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარით და დაფინანსება განხორციელდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: დაცული ტერიტორიების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის თამარ ხახიშვილის 2019 წლის: 24 სექტემბრის № 10385 და 27 სექტემბრის №10517 მოხსენებითი ბარათები.

ვალერიან მჭედლიძე

თავმჯდომარე